

ნომენკლატურაში რეგისტრირდება საქონელი და მომსახურება, რომლებზეც კომპანია საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს ოპერაციებს.

ცნობარის ელემენტის შექმნა შესაძლებელია როგორც მანუალურად (ხელით), ასევე პაკეტურად ცხრილური დოკუმენტებიდან მონაცემების ჩატვირთვის დამუშავების გამოყენებით ([როგორ ჩავტვირთოთ გარე ფაილიდან მონაცემები](#)).

## ნომენკლატურის შექმნა

- ძირითად მენიუში აირჩიეთ შესყიდვების, გაყიდვების ან საწყობის ქვესისტემა
- საცნობარო ინფორმაციის ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „**ნომენკლატურა**“
- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს
- აირჩიეთ ნომენკლატურის ტიპი: **საქონელი** (შესყიდვა, გაყიდვა, ნაშთების აღრიცხვა) ან **მომსახურება** (შესაძლებელია მხოლოდ შესყიდვა და გაყიდვა)
- შეიყვანეთ ნომენკლატურის დასახელება და სრული დასახელება
- აირჩიეთ **დღგ-ის განაკვეთი**, რომელიც გამოიყენება ნომენკლატურაზე შესყიდვის და გაყიდვის ოპერაციებისას
- სურვილისამებრ შეიყვანეთ არტიკული და შტრიხკოდი (მისაწვდომია მხოლოდ საქონლის შემთხვევაში)
- ასევე შეგიძლიათ ნომენკლატურაზე დაადგინოთ ფასი ([როგორ დავადგინო ნომენკლატურაზე ფასი](#))
- ნომენკლატურის დამატებისათვის დააჭირეთ „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“ ღილაკს.

Note შესაძლებელია ნომენკლატურაზე რამდენიმე შტრიხკოდის დარეგისტრირება და ოპერაციების განხორციელებისას შტრიხკოდის სკანერის გამოყენება ([როგორ გამოვიყენო შტრიხკოდები ოპერაციების გაფორმებისას](#))

## ჩანთა - Lenovo Simple Backpack Black (ნომენკლატურა) \*

ჩაწერა და დახურვა

ჩაწერა

ქ

კიდევ ▾

ძთავარი იმპორტი ნომენკლატურის აქტივობა სპეციფიკაციები

საქონელი  მომსახურება

დასახელება: ჩანთა - Lenovo Simple Backpack Black

სრული დასახელება: Lenovo Simple Backpack Black

დედ-ის განაცეით: ჩვეულებრივი ▾

ჯგუფი: ▾

მტრინჟოდი:

არტიკული:  კოდი: 000282

აღრიცხვის პარამეტრები

ზომის ერთეული: ცალი ▾  [შეფუთვები](#)

წონა:  კგ

დედ-ის მუხლი: მიწოდება კომპენსაციით ▾  [+ ახალი ...](#)

ანგარიშები

მარაგების აღრიცხვის ანგარიში:  ▾

შემოსავლების აღრიცხვის ანგარიში:  ▾

ზარგების აღრიცხვის ანგარიში (საქონლის):  ▾

დარიცხული დედ-ის ანგარიში:  ▾



## აღრიცხვის პარამეტრები

დანაყოფში „აღრიცხვის პარამეტრები“ შესაძლებელია ნომენკლატურის ძირითადი საზომი ერთეულისა და მისი შესაბამისი წონის მითითება.

ძირითადი ზომის ერთეული ეთითება ველში „ზომის ერთეული“. აღნიშნული ველი ნომენკლატურის დამატებისას ავტომატურად ივსება მნიშვნელობით „ცალი“. იმ შემთხვევაში თუ საჭიროა მისი ცვლილება, მომხმარებელი აირჩევს მისთვის სასურველ მნიშვნელობას „ზომის ერთეულების კლასიფიკატორიდან“ (როგორ დავამატო ზომის ერთეულის კლასიფიკატორი).

იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ნომენკლატურაზე ოპერაციების განხორციელება ძირითადი ერთეულისგან განსხვავებულ ერთეულში (ერთეულებში) შესაძლებელია დავარეგისტრიროთ რამდენიმე საზომი ერთეული ([ნომენკლატურაზე საზომი ერთეულების დამატება](#)).

## ანგარიშები

ნომენკლატურის აღრიცხვის ანგარიშები ივსება ავტომატურად, პროგრამის აწყობებში მითითებული ძირითადი ანგარიშების მიხედვით, თუმცა მათი რედაქტირება ბარათზე შესაძლებელია ([ნომენკლატურის აღრიცხვის ანგარიშები](#)).

## ნომენკლატურის აქტივობები

ჩანართზე „ნომენკლატურის აქტივობა“ აისახება მითითებულ პერიოდში ნომენკლატურაზე განხორციელებული ოპერაციები და პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი როგორც რაოდენობრივად ასევე თვითღირებულებით.

## როგორ დავამატო ზომის ერთეულის კლასიფიკატორი

ზომის ერთეულების კლასიფიკატორი საერთოა ყველა ნომენკლატურისათვის და ის ბაზის საწყისი შევსებისას ავტომატურად ივსება ყველა ისეთი ერთეულით, რომელიც რეგისტრირებულია RS.ge-ზე. თითოეულ ერთეულს ეთითება უნიკალური კოდი (ID), რომლითაც ის რეგისტრირებულია RS.ge-ზე. თუმცა შესაძლებელია ახალი ზომის ერთეულის დამატებაც:

- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს
- შეიყვანეთ დასახელება
- კლასიფიკატორის ID-ში შეიყვანეთ 99
- ზომის ერთეულის კლასიფიკატორის დამატებისათვის დააჭირეთ „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“ ღილაკს.

Note: კოდი 99 განკუთვნილია ისეთი ერთეულებისათვის, რომლებსაც არ არის რეგისტრირებული RS.ge (მაგალითად ყუთი). ამ კოდით შესაძლებელია ბაზაში არსებობდეს რამოდენიმე ერთეული, რომელიც RS.ge დოკუმენტის ატვირთვისას გაიგზავნება როგორც „სხვა“.

## როგორ დავამატო შეფუთვის ერთეული ნომენკლატურაზე

- დააჭირეთ ბმულს „შეფუთვები“
- გამოსულ ფანჯარაში დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს
- შეიყვანეთ დასახელება
- შეიყვანეთ კოეფიციენტი (ერთი შეფუთვა ძირითადი საზომი ერთეულის რა რაოდენობას შეიცავს)
- შეფუთვის ზომის ერთეულის დამატებისათვის დააჭირეთ „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“ ღილაკს.

შენიშვნა: შეფუთვების დამატება ნომენკლატურისათვის შესაძლებელია მხოლოდ მისი ჩაწერის შემდეგ.

## ნომენკლატურის აღრიცხვის ანგარიშები

ნომენკლატურის აღრიცხვის ანგარიშები გამოიყენება დოკუმენტებში ნომენკლატურასთან დაკავშირებული ანგარიშების ავტომატურად შესავსებად.

ნომენკლატურის ბარათზე, ღილაკზე „ანგარიშები“ დაჭერით ჩამოიშლება დანაყოფი, სადაც განთავსებულია ნომენკლატურის აღრიცხვის ანგარიშების შესაბამისი ველები. ყველა ანგარიში ივსება ავტომატურად პროგრამის აწყობებში მითითებული ძირითადი ანგარიშების მიხედვით, თუმცა მათი ცვლილება შესაძლებელია.

თითოეული ანგარიშის არჩევის ფანჯარა გაფილტრულია შესაბამისი კლასის ბუფალტრული ანგარიშებით.

ნომენკლატურის ტიპების მიხედვით იცვლება ანგარიშების შემადგებლობა.

საქონელი:

ანგარიში	აღწერა	კლასი
მარაგების აღრიცხვის ანგარიში	ანგარიშზე აისახება საქონლის მოძრაობა და ნაშთები	მარაგები
შემოსავლების აღრიცხვის ანგარიში	ანგარიშზე აისახება საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	შემოსავლები
ხარჯების აღრიცხვის ანგარიში (საქონლის)	ანგარიშზე აისახება რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	ხარჯები
დარიცხული დღგ-ის ანგარიში	ანგარიშზე აისახება საქონლის რეალიზაციაზე დარიცხული დღგ-ის ანგარიში	დარიცხული დღგ

მომსახურება:

ანგარიში	აღწერა	კლასი
ხარჯების აღრიცხვის ანგარიში (მომსახურების)	ანგარიშზე აისახება შექმნილი მომსახურების თანხა	ხარჯები, ზოგადი, დამატებითი ხარჯები, წარმოება
შემოსავლების აღრიცხვის ანგარიში	ანგარიშზე აისახება მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	შემოსავლები
დარიცხული დღგ-ის ანგარიში	ანგარიშზე აისახება მომსახურების რეალიზაციაზე დარიცხული დღგ-ის ანგარიში	დარიცხული დღგ

კომპლექტაციის ოპერაცია გამოიყენება რამდენიმე საქონლის ერთ პროდუქტად კომპლექტაციის ან პროდუქტის რამდენიმე საქონლად დაშლის (დეკომპლექტაციის) ოპერაციის ასახვისათვის.

## როგორ დავადგინოთ ნომენკლატურაზე ფასი

ნომენკლატურის ბარათის გახსნისას „მთავარ“ ჩანართზე აისახება ნომენკლატურაზე მოქმედი ფასი. თუ გამოიყენება რამდენიმე ფასის ტიპი, ბარათზე აისახება მოქმედი ფასები ფასის ტიპების მიხედვით (ფუნქციონალური ოფცია „რამდენიმე ფასის ტიპის გამოყენება“, დანაყოფი „გაყიდვები“).

ნომენკლატურაზე ფასის დადგენა ან ცვლილება ხდება მისი ბარათიდანვე, „ახალი ფასი“ ლილავზე დაჭერით.


### ჩანთა - Lenovo Simple Backpack Black (ნომენკლატურა)

The screenshot shows a product page for a black backpack. The main product image is on the right. On the left, there are input fields for product details. At the bottom, a modal window titled 'ნომენკლატურის ფასი (შექმნა)' is open, showing a date of 30.10.2018, the product name, and a price field set to 0.0000. A red box highlights the price field in the modal, and another red box highlights the price '53.10 GEL' on the main page. A red arrow points to the '+ ახალი...' button next to the price.

**Note:** ავტომატურად იგულისხმება რომ შეიცავს ფასი დღგ-ს. შესაბამისად ოპერაციებში დღგ-ის გამოყოფა მოხდება ფასიდან. დღგ-ის გაფართოებული აღრიცხვის შემთხვევაში (დღგ-ის გაფართოებული აღრიცხვა) აღნიშნული ოფციონალურია და დამოკიდებულია ფასის ტიპში მითითებულ მნიშვნელობაზე.

პერიოდი	ენიჭება ავტომატურად მიმდინარე თარიღი. ივსება ახალი ფასის რეგისტრაციის თარიღი
ნომენკლატურა	ივსება ავტომატურად ნომენკლატურის ბარათის მიხედვით
ზომის ერთეული	ივსება ავტომატურად ნომენკლატურის ძირითადი მნიშვნელობით, თუმცა შესაძლებელია მისი ცვლილება.
ფასი	ფასის მნიშვნელობა
ფასის ტიპი	ივსება მხოლოდ რამოდენიმე ფასის ტიპის გამოყენების შემთხვევაში.
ვალუტა	ავტომატურად ივსება ძირითადი ვალუტით. თუ ვიყენებთ რამოდენიმე ფასის ტიპს, ივსება შესაბამისი ფასის ტიპის ვალუტით.

**Note:** თუ ნომენკლატურაზე ფასი უკვე დადგენილია, მაგრამ არ გსურთ ძველი ფასის ისტორიაში დამახსოვრება, უნდა დააჭიროთ ფასის მნიშვნელობაზე და ფასის ველში ჩაწეროთ ფასის ახალი მნიშვნელობა. აღნიშნული მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფასის დადგენა მოხდა შეცდომით.




## როგორ დავამატო ფასის ტიპი

ფასის ტიპების ცნობარში რეგისტრირდება იმდენი ელემენტი, რამდენი ფასის კატეგორიაც (პრასის ლისტი) აქვს კომპანიას. პროგრამის საწყისი შევსების დროს ავტომატურად ემატება ძირითადი ფასის ტიპი, თუმცა იმისათვის, რომ დაარეგისტროთ რამდენიმე ფასის კატეგორია, საჭიროა შესაბამისი ფუნქციონალური ოფციის ჩართვა.

- ძირითად მენიუმში აირჩიეთ ადმინისტრირების ქვესისტემა
- აღრიცხვის აწყობების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „გაყიდვები“
- მონიშნეთ ალამი „ფასების რამდენიმე ტიპის გამოყენება“

ფასის ტიპის დამატებისათვის:


- ძირითად მენიუმში აირჩიეთ „გაყიდვების“ ქვესისტემა
- საცნობარო ინფორმაციის ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „ფასის ტიპები“
- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს
- შეიყვანეთ ფასის ტიპის დასახელება
- აირჩიეთ ვალუტა, რომელშიც მოხდება ფასების შეყვანა
- დააჭირეთ ღილაკს „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“



„ფასების ცვლილების ისტორია“ ღილაკზე დაჭერით შესაძლებელია ფასების ცვლილებების სრული ისტორიის დათვალიერება ნომენკლატურების მიხედვით.

## კომპლექტაცია

- ძირითად მენიუში აირჩიეთ საწყობის ქვესისტემა
- საწყობის ოპერაციების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „კომპლექტაცია“
- დააჭირეთ ღილაკს „შექმნა“
- მოცემული ჩამონათვალიდან აირჩიეთ ოპერაციის ტიპი შინაარსის მიხედვით, „კომპლექტაცია“ ან „დეკომპლექტაცია“




## კომპლექტაცია

- შეავსეთ ველი ნომენკლატურა, „ერთეულის“ ველი ავტომატურად შეივსება ნომენკლატურის ბარათიდან
- მიუთითეთ მისაღები პროდუქტის (კომპლექტის) რაოდენობა



- მიუთითეთ „საწყობი“, რომელზეც ხორციელდება ოპერაცია. მითითებული საწყობიდან ჩამოიწერება მაკომპლექტებლები და ამავე საწყობზე აისახება კომპლექტის ნაშთიც
- ცხრილურ ნაწილში, საქონლის ჩანართზე დაამატეთ მაკომპლექტებელი ნომენკლატურები შესაბამისი რაოდენობებით. ცხრილური ნაწილის შევსება გარდა სტანდარტული მექანიზმებისა (დამატება, შერჩევა, გარე ფაილიდან ჩატვირთვა), შესაძლებელია სპეციფიკაციის მიხედვით ([შევსება სპეციფიკაციის მიხედვით](#))
- ნომენკლატურის არჩევის შედეგად ავტომატურად ივსება „საქონლის ანგარიში“, ხოლო დამხმარე ანგარიშის არჩევა უნდა მოხდეს ანგარიშთა გეგმიდან ზოგადი ან კომპლექტაციის კლასის ანგარიშებიდან. ამ ანგარიშის არჩევის შემთხვევაში ბუღალტრული გატარება მოხდება შუალედური ანგარიშის გამოყენებით. მისი შევსება არ არის აუცილებელი, თუმცა რეკომენდებულია მისი გამოყენება კომპლექტის რაოდენობის არაჯერადი მაკომპლექტებლების რაოდენობის შემთხვევაში)
- დააჭირეთ ღილაკს „გატარება“ ან „გატარება და დახურვა“




### შევსება სპეციფიკაციის მიხედვით

შევსების ეს მექანიზმი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტზე (კომპლექტზე) არსებობს წინასწარშედგენილი რეცეპტი/რეცეპტები (სპეციფიკაცია) ([როგორ დავამატო სპეციფიკაცია](#)).

ღილაკზე „შევსება სპეციფიკაციის მიხედვით“ დაჭერით გამოდის სპეციფიკაციების შერჩევის ფანჯარა. აირჩიეთ საჭირო სპეციფიკაცია, ცხრილური ნაწილი ავტომატურად შეივსება

სპეციფიკაციაში შეყვანილი მაკომპლექტებლებით, კომპლექტის რაოდენობისა და სპეციფიკაციაში მითითებული კოეფიციენტების გათვალისწინებით.



## დეკომპლექტაცია

- შეავსეთ ველი ნომენკლატურა
- „ერთეულის“ ველი ავტომატურად შეივსება ნომენკლატურის ბარათიდან
- მიუთითეთ დასაშლელი პროდუქტის (კომპლექტის) რაოდენობა
- მიუთითეთ „საწყობი“, რომელზეც ხორციელდება ოპერაცია. მითითებული საწყობიდან ჩამოიწერება დასაშლელი კომპლექტი და ამავე საწყობზე აისახება დაშლის შედეგად მიღებული მაკომპლექტებლების ნაშთიც
- ცხრილურ ნაწილში, საქონლის ჩანართზე დაამატეთ მაკომპლექტებელი ნომენკლატურები შესაბამისი რაოდენობებით. ცხრილური ნაწილის შევსება გარდა სტანდარტული მექანიზმებისა (დამატება, შერჩევა, გარე ფაილიდან ჩატვირთვა, შტრიხკოდით ძებნა), შესაძლებელია სპეციფიკაციის მიხედვით ველში „ღირებულებითი წილი“ იწერება თუ როგორ უნდა განაწილდეს მოცემული კომპლექტის ღირებულება
- ველების შევსების შემდეგ დააჭირეთ ღილაკს „ჩაწერა“, „გატარება“ ან „გატარება და დახურვა“

**მაგალითი:** კომპიუტერის კომპლექტის ღირებულებაა 2500 ლარი. დეკომპლექტაციის შედეგად გვინდა, რომ ღირებულებები შემდეგნაირად გადანაწილდეს:

**ღირებულებები:**  
 მონიტორი: 400 ლ  
 კლავიატურა: 200 ლ  
 მაუსი: 100 ლ  
 პროცესორი: 1000 ლ  
 ფლემმეხსიერება: 100 ლ  
 მყარი დისკი: 700 ლ



**წილები:**  
 მონიტორი: 4  
 კლავიატურა: 2  
 მაუსი: 1  
 პროცესორი: 10  
 ფლემმეხსიერება: 1  
 მყარი დისკი: 7



← → ☆ კომპლექტაცია 5 - 11.12.2018 \*

გატარება და დახურვა ჩაწერა გატარება Dr Cr ბუჭდება

0000000005 11.12.2018 14:40:09 გატარებულია

ნომენკლატურა: კომპიუტერის კომპლექტი

ერთეული: ცალი რაოდენობა: 1.0000


საქონელი (6) დამატებით

დამატება შერევა შვსება სპეციფიკაციის მიხედვით

N	არტყული	ნომენკლატურა	ერთ.	რაოდენობა	ფირმების წილი	აღრიცხვის ანგარიში
1	მონიტორი	ASUS VX239H	ცალი	1.0000	4	1610
2	კლავიატურა	Asus W3000 White ( 90-XB2400KM00160 )	ცალი	1.0000	2	1610
3	მაუსი	Asus WT465 Black	ცალი	1.0000	1	1610
4	პროცესორი	Intel Core i3 3240T Processor (3M Cache, 2900 MHz)	ცალი	1.0000	10	1610
5	ფლემ ბუქსიერება	Emitec EKMMD4GAS100 4 GB Astenx USB 2.0 ( 312617010628...	ცალი	1.0000	1	1610
6	მყარი დისკი	1000 GB Seagate Barracuda (ST1000DM003)	ცალი	1.0000	7	1610

## როგორ დავამატო სპეციფიკაცია

- გახსენით ნომენკლატურის ბარათი
- გადადით „სპეციფიკაციის“ ჩანართზე და დააჭირეთ ღილაკს შექმნა
- ჩაწერეთ სასურველი სპეციფიკაციის დასახელება
- ნომენკლატურის ველი ავტომატურად ივსება შესაბამისი მნიშვნელობით
- აირჩიეთ მისაღები კომპლექტის ერთეული და რაოდენობა
- მაკომპლექტებლების ცხრილში აირჩიეთ ნომენკლატურის სიიდან საჭირო საქონელი და მიუთეთ რაოდენობა, რომელიც საჭიროა ქუდში მითითებული მისაღები რაოდენობის დასამზადებლად/დასაკომპლექტებლად
- დააჭირეთ ღილაკს „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“



მარაგების დანაკლისის ან სხვა დასაბეგრი ჩამოწერის ოპერაციის დაფიქსირება პროგრამაში ხდება დასაბეგრი ჩამოწერის დოკუმენტით. დოკუმენტის შექმნა შესაძლებელია როგორც ხელით, ასევე ფაილიდან ჩატვირთვით. [\(გარე ფაილიდან მონაცემების ჩატვირთვის მექანიზმი\).](#)

## დასაბეგრი ჩამოწერის შექმნა

- ძირითად მენიუში აირჩიეთ საწყობის ქვესისტემა
- ოპერაციების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „საქონლის ჩამოწერა“

შეძენა (Ctrl+F) [x] [x] [x]

**საწყობის ოპერაციები**

**საქონლის გადაადგილება**

შეკვეთა გადაადგილებაზე

შეკვეთების დაბრუნვა

ინვენტარიზაცია

საქონლის შემოსავალში აღება

**საქონლის ჩამოწერა**

კომპლექტაცია

საქონლის ჩანაცვლება

ოპერაციის შაბლონები საწყობებზე

ტიპიური ოპერაციები საწყობებზე

**საწყობის აღრიცხვა**

ნომენკლატურა

**საცნობარო ინფორმაცია**

ზომის ერთეულების კლასიფიკატორი

სპეციფიკაციები

**RS.ge**

გადაადგილების ზედნადებების ჩამოტვირთვა

**ანგარიშგებები**

ღირებულებითი უწყისი საქონლის მიხედვით

საწყობის ღირებულებითი შეფასება

საქონლის რაოდენობითი უწყისი

მარაგების ბრუნვა

თვითღირებულების ფორმირების ანალიზი

გადაადგილების შეკვეთების ანალიზი

საწყობის ანგარიშგებები

უაყოფიერი ნაშთები

**სერვისი**

დამატებითი ანგარიშგებები

დამატებითი დამუშავებები

- დაჭირეთ ღილაკს „შექმნა“
- ოპერაციის ტიპში აირჩიეთ „დასაბეგრი ჩამოწერა“

← → ☆ საქონლის ჩამოწერა

შექმნა [Dr Cr] [!] [Σ] [U] ბეჭდვა ფაილიდან ჩატვირთვა...

დასაბეგრი ჩამოწერა	Ins	ოპერაციის ტიპი
საწარგო მასალების ჩამოწერა		დასაბეგრი ჩამოწერა
05.10.2017	00000000004	საწარგო მასალების ჩამოწერა
16.11.2017	00000000001	დასაბეგრი ჩამოწერა
17.11.2017	00000000009	საწარგო მასალების ჩამოწერა

- აირჩიეთ საწყობი, რომლიდანაც ხდება საქონლის ჩამოწერა
- ველი „ინვენტარიზაცია“ ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირებული საქონლის დანაკლისის ჩამოწერა. დოკუმენტის არჩევისას ცხრილი ავტომატურად ივსება ინვენტარიზაციაში დაფიქსირებული დანაკლისით. [\(როგორ გავაფორმო საქონლის ინვენტარიზაცია\).](#)
- ცხრილში „დამატება“ ან „შერჩევა“ [\(როგორ შევარჩიო ნომენკლატურა\)](#) ღილაკზე დაჭირით აირჩიეთ ჩამოსაწერი საქონელი ნომენკლატურის სიიდან და მიუთითეთ რაოდენობა. ზომის ერთეული, ნომენკლატურის აღრიცხვის ანგარიში და მარაგის ჩამოწერის ხარჯის ანგარიში ავტომატურად ივსება ნომენკლატურის ბარათზე [\(როგორ დავამატო ნომენკლატურა\)](#) მითითებული მნიშვნელობების მიხედვით, თუმცა მათი ცვლილება შესაძლებელია დოკუმენტშივე.
- დღგ-ის დასაბეგრი ბაზის განსაზღვრისათვის ფასი ივსება ავტომატურად ნომენკლატურაზე დადგენილი ფასის მიხედვით (იხ. ფასის ტიპები და გადასახადები), თუმცა მისი ცვლილება შესაძლებელია
- დოკუმენტის გატარებისთვის დააჭირეთ „გატარება“ ან „გატარება და დახურვა“ ღილაკს.

## ფასის ტიპები და გადასახადები

საქონლის ჩამოწერა (შექმნა) \*

გატარება და დანერგვა ჩაწერა გატარება ბეჭდვა

06.11.2018 0:00:00 ასალი

ოპერაციის ტიპი: დასახვერი ჩამოწერა

ინვენტარიზაცია: ინვენტარიზაცია 1 - 01.11.2018

ანგარიშები: 7495\_5310

გასაყიდი ფასი \* არ იბეგრება მოგების გადასახადით

საქონელი (3) დამატებით

დამატება შერჩევა

ფასი	თანა	დღის განაკვეთი	დღე	თანა დღის ჩათვლა	აღრიცხვის ანგარიშები	ნარჩების ან...	ანალიტიკა
2,0000							
5,0000							
2,0000							

ფასის ტიპები და გადასახადები (IC:საწარმო)

ფასის ტიპი: გასაყიდი ფასი

იბეგრება მოგების გადასახადით

მოგების გადასახადით დაბეგრვის ობიექტი: სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის დანაკლისი

OK

„ნომენკლატურის“ ცხრილში ნომენკლატურის არჩევისას ველი „ფასი“ შეივსება აღნიშნულ ნომენკლატურაზე დადგენილი ფასის მიხედვით ([როგორ დავადგინო ნომენკლატურაზე ფასი](#)).


იმისათვის, რომ გამოიყენოთ ფასების შევსების ფუნქციონალი საჭიროა ჩართული იყოს ფუნქციონალური ოფცია „ფასების რამდენიმე ტიპის გამოყენება“ (ადმინისტრირება > აღრიცხვის აწყობები > გაყიდვები).

ფასის ტიპის ცვლილება შესაძლებელია „ფასის ტიპები და გადასახადები“ ბმულზე დაჭერით და სასურველი ფასის ტიპის არჩევით.

იმ შემთხვევაში, თუ ჩართულია მოგების გადასახადის გაფართოებული აღრიცხვა (ადმინისტრირება > აღრიცხვის აწყობები > გადასახადები) შესაძლებელია ჩამოწერილი საქონლის დაბეგრვა მოგების გადასახადით. ამისათვის, მონიშნეთ ალამი „იბეგრება მოგების გადასახადით“.

## ანგარიშები

ანგარიშების ფორმა ივსება ავტომატურად პროგრამის აწყობებში მითითებული ძირითადი ანგარიშების მიხედვით, თუმცა მათი ცვლილება შესაძლებელია.



ანგარიში	აღწერა
დღგ-ის ხარჯის ანგარიში	ანგარიშზე აისახება დარიცხული დღგ-ის ხარჯი
კაპიტალის ანგარიში	ანგარიშიდან ხდება დარიცხული მოგების გადასახადის გამოყოფა. ველი ჩანს მხოლოდ მოგების გადასახადით დაბეგვრის შემთხვევაში
მოგების გადასახადის ანგარიში	ანგარიშზე აისახება დარიცხული მოგების გადასახადი. ველი ჩანს მხოლოდ მოგების გადასახადით დაბეგვრის შემთხვევაში

## ბუღალტრული გატარებები

მაგალითი: საწყობში აღმოჩნდა საქონლის დანაკლისი. საჭიროა დანაკლისის ჩამოწერა და გადასახადებით დაბეგვრა. საქონლის თვითღირებულებაა 70 ლარი, ხოლო მისი გასაყიდი ღირებულება 118 ლარი დღგ-ის ჩათვლით.

დბ	ანალიტიკა დბ	კრ	ანალიტიკა კრ	შინაარსი	თანხა
7xxx - ხარჯის ანგარიში		16xx	საქონელი	საქონლის თვითღირებულების ჩამოწერა ხარჯზე	70.00
7xxx - დღგ-ის ხარჯის ანგარიში		3330		გადასახდელი დღგ-ის დარიცხვა	18.00
53xx		33xx		მოგების გადასახადის დარიცხვა*	20.82



\*მოგების გადასახადის გაანგარიშება:  $118/0,85*15\% = 20.82$

## როგორ გავაფორმო საქონლის გადაადგილება

- ძირითად მენიუში აირჩიეთ საწყობის ქვესისტემა
- საწყობის ოპერაციების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „საქონლის გადაადგილება“
- დააჭირეთ ღილაკს „შექმნა“
- საქონლის გადაადგილების დოკუმენტში, ველში „გამგზავნი“ შეიყვანეთ საწყობის დასახელება, რომლიდანაც ხდება საქონლის გაგზავნა
- ველში „მიმღები“ შეიყვანეთ საწყობის დასახელება, რომელშიც ხდება საქონლის მიღება
- საქონლის ცხრილში აირჩიეთ საქონელი ნომენკლატურის სიიდან. ცხრილის შეივსება შესაძლებელია „დამატება“, „შერჩევა“ ([როგორ შევარჩიოთ ნომენკლატურა](#)), „ცხრილის შევსება ფაილიდან“, ან „შტრიხ-კოდის ძებნა“ ღილაკების გამოყენებით. ველები „ერთეული“, „აღრიცხვის ანგარიში“, „მიმღების ანგარიში“ ავტომატურად ივსება ნომენკლატურის ბარათზე მითითებული მნიშვნელობებით.
- შეავსეთ ველი „რაოდენობა“
- დააჭირეთ ღილაკს „გატარება“, ან „გატარება და დახურვა“

← → ☆ საქონლის გადაადგილება 1 - 06.11.2018 \*

გატარება და დახურვა ჩანერა გატარება ბუკვება ჭიფვა

0000000001 06.11.2018 18:04:26 არ არის გატარებული გამგზავნი: თბილისის მიმღები: ბათუმის

საქონელი (8) დამატებით

დაამატება ჭიფვა

N	არტიკული	ნომენკლატურა	ერთ.	რაოდენობა	აღრიცხვის ანგარიში	მიმღების ანგარიში	შევეთა გადაადგილებაზე
1		კომპიუტერი - Intel Core i7 3770T - სპეცი...	ცალი	7.0000	1610	1610	
2		CAM ელემენტი	ცალი	17.0000	1610	1610	
3		GO-4323 ნათურა ლედი 12W A60 E-2...	ცალი	23.0000	1610	1610	
4		დედაპლატა - ASUS B85M-E	ცალი	3.0000	1610	1610	
5		პროექტორი - Sony VPL-EX295 White	ცალი	2.0000	1610	1610	
6		პრინტერი - HP Deskjet 1510 (B2L56C)	ცალი	1.0000	1610	1610	
7		პრინტერი - Epson EcoTank L355 (C11C...	ცალი	1.0000	1610	1610	
8		H062-1 სანათი მოწყობილობა	ცალი	1.0000	1610	1610	

სასაქონლო ზედნადების გათვორთვა

დოკუმენტიდან შესაძლებელია ელექტრონული სასაქონლო ზედნადების გამოწერა [\(როგორ გამოვწერო სასაქონლო ზედნადები გადაადგილებიდან\)](#).

სახარჯი (სამეურნეო) მასალების ჩამოწერის ოპერაცია ფიქსირდება საქონლის ჩამოწერის დოკუმენტით ტიპით „სახარჯი მასალების ჩამოწერა“. აღნიშნული ოპერაცია გამოიყენება ასევე სხვა არდასაბეგრი ჩამოწერის ოპერაციის განხორციელებისას. დოკუმენტის შექმნა შესაძლებელია როგორც ხელით, ასევე ფაილიდან ჩატვირთვით. [\(გარე ფაილიდან მონაცემების ჩატვირთვის მექანიზმი\)](#).

## სახარჯი მასალების ჩამოწერის შექმნა

- ძირითად მენიუმში აირჩიეთ საწყობის ქვესისტემა
- ოპერაციების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „საქონლის ჩამოწერა“

საწყობის ოპერაციები


- საქონლის გადაადგილება
- შეკვეთა გადაადგილებაზე
- შეკვეთების დაბრუნება
- ინვენტარიზაცია
- საქონლის შემოსავალში აღება
- საქონლის ჩამოწერა**
- კომპლექტაცია
- საქონლის ჩანაცვლება
- ოპერაციის შაბლონები საწყობებზე
- ტიპური ოპერაციები საწყობებზე

- დაჭირეთ ღილაკს „შექმნა“
- ოპერაციის ტიპში აირჩიეთ „სახარჯი მასალების ჩამოწერა“

დასაბეგრი ჩამოწერა	Ins	ოპერაციის ტიპი
სახარჯი მასალების ჩამოწერა		დასაბეგრი ჩამოწერა
05.10.2017	0000000004	სახარჯი მასალების ჩამოწერა
16.11.2017	0000000001	დასაბეგრი ჩამოწერა
17.11.2017	0000000009	სახარჯი მასალების ჩამოწერა

- აირჩიეთ საწყობი, რომელზეც ხდება ოპერაცია

- ველი „ინვენტარიზაცია“ ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა ინვენტარიზაციის შედეგით დოკუმენტის შევსება. დოკუმენტის არჩევისას ცხრილი ავტომატურად ივსება ინვენტარიზაციაში დაფიქსირებული დანაკლისით.
- „დამატება“ ან „შერჩევა“ ([როგორ შევარჩიო ნომენკლატურა](#)) ღილაკზე დაჭერით აირჩიეთ ჩამოსაწერი საქონელი ნომენკლატურის სიიდან და მიუთითეთ რაოდენობა. ზომის ერთეული, ნომენკლატურის აღრიცხვის ანგარიში და მარაგის ჩამოწერის ხარჯის ანგარიში ავტომატურად ივსება ნომენკლატურის ბარათზე მითითებული მნიშვნელობების მიხედვით, თუმცა მათი ცვლილება შესაძლებელია დოკუმენტშივე. ([როგორ დავამატო ნომენკლატურა](#)).



- დოკუმენტის გატარებისთვის დააჭირეთ „გატარება“ ან „გატარება და დახურვა“ ღილაკს.

შენიშვნა: ღილაკი „შევსება“ გამოიყენება შესყიდული მარაგის ძირითად საშუალებად აყვანის შემთხვევაში. (ძირითადი საშუალებების პაკეტური შესყიდვა და მარაგის გადატანა ძირითად საშუალებად).